ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 322

ქალაქი ქუთაისი 24 აგვისტო 2026 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი მე-11 სხდომის მოწვევისა და ამ სხდომის დღის წესრიგის პროექტის საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2026 წლის 19 აგვისტოს №312 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, აუცილებელ გარემოებათა გათვალისწინებით, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი მე-11 სხდომის მოწვევისა და ამ სხდომის დღის წესრიგის პროექტის საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2026 წლის 19 აგვისტოს №312 ბრძანებაში, კერძოდ, შეიცვალოს ბრძანების 1-ელი მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**მუხლი 1.** მოწვეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი მე-11 სხდომა მ/წლის 26 აგვისტოს, 15.00 საათზე (სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე არსებული სხდომათა დარბაზი, ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3).“.

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი — მარეხი ჟიჟარაძე